თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7616720

ნომერი: AR11107289

თარიღი : 05.09.2025

გაცემის თარიღი : 11.09.2025

გაცნობის თარიღი : 11.09.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N 34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამი ჭულუხაძე პ/ნ 01019070369
- თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. N 33/1 ბ. 26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ნოემბრის №7295916 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 05 სექტემბერს №AR11107289 განცხადებით მომართა მარიამ ჭულუხაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 21

ნოემბრის №7295916 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ნოემბრის №7295916 ბრძანებით №01.12.12.024.262 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 21 ნოემბრიდან 2025 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით.
სამსახურის 2025 წლის 02 ივლისის №7537942 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 21 ნოემბრის №7295916 ბრძანებაში და ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა 1661.1 კვ.მ. საერთო ფართობად 21124.2 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2024 წლის 21 ნოემბრის №7295916 ბრძანებით შეთანხმებული +3.30 ნიშნულის არქიტექტურული გეგმა ჩანაცვლდა, №AR11097270 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული +3.30 ნიშნულის არქიტექტურული გეგმით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ნოემბრის №7295916 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმაზე (X ბლოკი) გამოჩენილი იყო №7 ბინის ფართობის და ნუმერაციის მითითება. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი 0.00 ნიშნულის გეგმის ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 21 ნოემბრის №7295916 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმაზე (X ბლოკი), „8-9“ და „ბ-გ“ ღერძებში მდებარე ბინაზე გამორჩენილი იყო ბინის ნომრის და ფართობის მითითება, რაც წარმოდგენილ ამავე ნიშნულის გეგმაზე გასწორებულია. ამასთან, დგინდება, რომ წარმოდგენილი გეგმა არ იცვლება, აღნიშნულ გეგმაზე ხდება მხოლოდ №7 ბინის ნომრის და ფართობის მითითება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ნოემბრის №7295916 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის არქიტექტურული გეგმით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ნოემბრის №7295916 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 21 ნოემბრის №7295916 და 2025 წლის 02 ივლისის №7537942 ბრძანებებთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.